სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 07

2017 წლის 07 თებერვალი

ქ. თბილისი

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის ,,ლეონარდო და ვინჩი"-ს გამოცხადებისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ

„მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის N98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, მაია ქაჯაიას (რეგისტრაციის N84654; 01.02.2017წ.) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი" 2017 წლის 7 თებერვალს;
2. დამტკიცდეს მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი"-ს პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კონკურსის მეორე ეტაპზე მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს მოსწავლე გამომგონებელთა კონკურსის ,,ლეონარდო და ვინჩის" პირველ ეტაპზე წარსადგენი საკონკურსო ნამუშევრების კვლევის გეგმა/პირველადი იდეის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურისის მე-2 ეტაპზე წარსადგენი პროექტის აღწერილობის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;

7. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს თეა მჟავანაძეს წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებგვერდზე: **www.rustaveli.org.ge;**
8. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე განთავსებისთანავე;
9. ბრძანება შესაძლოა გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინიტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.N6)

თინათინ ბოჭორიშვილი
გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი N1
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2017 წლის 7თებერვლის N07 ბრძანებით

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“

კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“-ს (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ზოგადსაგანმანათლებო დაწესებულებებში მიმდინარე რეფორმების ხელშეწყობა; სასწავლო პროცესის სტიმულირება-სრულყოფა, სწავლისადმი ინტერესის გაღვივება; ინოვაციებისა და ტექნიკის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება; შემოქმედებითი აზროვნებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება.
2. კონკურსი ტარდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის N98 დადგენილების შესაბამისად.
3. კონკურსის ადმინისტრირებას ახდენს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი).

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია პირს, რომელიც არის საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სახელმწიფო და კერძო სკოლების) VII-XII კლასის მოსწავლე.
2. კონკურსში განაცხადების წარდგენა შესაძლებელია ინდივიდუალურად და ჯგუფურად. ჯგუფის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კლას(ებ)ის სამ მოსწავლეს. კონკურსზე პროექტის დარეგისტრირების შემდეგ ჯგუფის წევრთა ცვლილება დაუშვებელია.
3. თითოეულ გუნდს შეუძლია გუნდის ლიდერის დანიშვნა, რომელიც მიმდინარე სამუშაოებს გაუწევს კოორდინაციას, იქნება გუნდის სპიკერი და საკონტაქტო პირი. მიუხედავად ამისა, გუნდის თითოეულ წევრს უნდა შეეძლოს სპიკერის/ საკონტაქტო პირის როლის შესრულება, უნდა იყოს სრულად ჩართული პროექტში და იცნობდეს მის ყველა ასპექტს. საბოლოო ნამუშევარი უნდა ასახავდეს გუნდის ყველა წევრის კოორდინირებულ ძალისხმევას. გუნდური პროექტი შეფასდება ინდივიდუალური პროექტების მსგავსი წესებითა და შეფასების კრიტერიუმებით.
4. ერთი და იგივე პირი ვერ იქნება საკონკურსოდ წარდგენილი ორზე მეტი განაცხადის ავტორი ან თანაავტორი. გამარჯვების შემთხვევაში დაფინანსდება მხოლოდ ერთი პროექტი. საკონკურსოდ არ უნდა იყოს წარმოდგენილი კვლევა, რომელიც განხორციელდა 2017 წლის იანვრამდე.
5. საკონკურსოდ არ განიხილება პროექტი, რომელმაც საპრიზო ადგილი დაიკავა ან გაიმარჯვა ფონდის ან სხვა ორგანიზატორის მიერ ადრე ჩატარებულ კონკურსში. ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში პროექტი მოიხსნება კონკურსიდან.
6. თითოეულ გუნდს, ან მოსწავლეს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი, რომელიც შესაძლებელია იყოს მასწავლებელი, მშობელი ან მეცნიერი, რომლის ლაბორატორიაშიც მოსწავლე მუშაობს. ხელმძღვანელი პროექტზე მუშაობის მთელი პერიოდის მანძილზე უნდა იმყოფებოდეს მოსწავლესთან მჭიდრო კონტაქტში. ის უნდა იცნობდეს ყველა შესაბამის რეგულაციას, რომელიც პოტენციურად საშიშ ან სარისკო კვლევის ჩატარებას ეხება და, რომლებიც მოსწავლის პროექტთანაა დაკავშირებული. ასეთი კვლევა შეიძლება მოიცავდეს ქიმიური ან ბიოლოგიური ნივთიერებებისა და აღჭურვილობის გამოყენებას,

ექსპერიმენტულ მეთოდებს, უჯრედების კულტურის, მიკროორგანიზმების ან საშიში ცხოველების/ ცხოველური ქსოვილების შესწავლას.

7. იმ შემთხვევაში, თუ კვლევა ხორციელდება ლაბორატორიაში, ან ეხება პოტენციურად საშიშ ბიოლოგიურ და კონტროლირებად ნივთიერებებს, აუცილებელია შესაბამისი რეგულაციების, შეზღუდვების ზედმიწევნით ზუსტი დაცვა და დარგის მეცნიერის ან ზედამხედველის მონაწილეობა პროექტში.
8. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს საკონკურსოდ წარადგინოს მხოლოდ საკუთარი ავტორობით/თანაავტორობით შედგენილი განაცხადი.

მუხლი 3. საკონკურსო განაცხადების წარდგენა

1. საკონკურსოდ განცხადი უნდა შეიცავდეს გამოგონების/კვლევის ტექსტურ აღწერილობასა და ილუსტრაციას ნახაზის/მოდელის/მაკეტის სახით.
2. კონკურსის მიზნებისთვის გამოგონებად ჩაითვლება იმ ტექნიკური პრობლემის ახლებური გადაწყვეტის იდეა, რომელიც შეიძლება ეხებოდეს პროდუქტს ან პროდუქტის მიღების ტექნოლოგიას.
3. ნებისმიერი პროექტი, რომელიც ეფუძნება მოსწავლის კონკურსამდე განხორციელებულ კვლევას, შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც პროექტის გაგრძელება/კვლევის პროგრესირება. ამგვარი პროექტების წარდგენის დროს დოკუმენტირებული უნდა იყოს ის, რომ დამატებითი კვლევა წარმოადგენს წინა კვლევის მნიშვნელოვან განვრცობას (მაგ.: ახალი ცვლადისა ან კვლების ახალი ხაზის გამოცდა). წინა ექსპერიმენტირების გამეორება იმავე მეთოდოლოგიითა და იმავე საკვლევი კითხვით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შერჩევის ზომა იქნება გაზრდილი, არ არის მისაღები კონკურსის ფარგლებში.
4. კვლევითი პროექტი შესაძლებელია იყოს შესაბამისი დარგის მეცნიერის მიერ ჩატარებული უფრო ფართო კვლევის ნაწილი, თუმცა პროექტი, რომელსაც მოსწავლე წარადგენს, უნდა მოიცავდეს საერთო კვლევის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც საკუთრივ მოსწავლემ ან მოსწავლეებმა ჩაატარეს.
5. სამეცნიერო გაყალბება ან გადაცდომა არ დაიშვება კონკურსის არც ერთ დონეზე. ეს მოიცავს პლაგიატს, გაყალბებას, სხვა მკვლევრის ნამუშევრის ისე გამოყენებას ან წარდგენას, როგორც საკუთარის და მონაცემების ფალსიფიცირებას/ფაბრიკაციას.
6. კვლევა უნდა განეკუთვნებოდეს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:

   1) ქცევითი და სოციალური მეცნიერებები;
   2) ქიმია/ბიოქიმია/ ბიოსამედიცინო და ჯანდაცვის მეცნიერებები;
   3) უჯრედის და მოლეკულური ბიოლოგია;
   4) კომპიუტერული ბიოლოგია და ბიოინფორმატიკა;
   5) დედამიწისა და გარემოსდაცვითი მეცნიერებები;
   6) დანერგილი სისტემები;
   7) ენერგია: ქიმიური და ფიზიკური;
   8) საინჟინრო მექანიკა;
   9) გარემოსდაცვითი ინჟინერია;
   10) მასალათმცოდნეობა;
   11) მათემატიკა;
   12) მიკრობიოლოგია;
   13) ფიზიკა და ასტრონომია;
   14) მცენარეების შემსწავლელი მეცნიერებები;
   15) რობოტიქსი და ინტელექტუალური მანქანები;
   16) კომპიუტერული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფა.

<u>დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სამეცნიერო მიმართულების/ქვეკატეგორიებში.</u>

7. გამოგონებად არ მიიჩნევა ,,საქართველოს საპატენტო კანონის" მე-16 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ობიექტები ესენია:

   ა) აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია, მათემატიკური მეთოდი;
   ბ) მხატვრული ქმნილება;
   გ) ალგორითმი, კომპიუტერული პროგრამა;
   დ) აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა, გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდი, თამაშობის, გათამაშების წესები;
   ე) საქმიანობისა და ორგანიზების მართვის მეთოდი;
   ვ) ნაგებობის, შენობის, ტერიტორიის დაგეგმარების პროექტი და სქემა;
   ზ) ინფორმაციის წარდგენა.
8. ასევე საკონკურსოდ არ განიხილება პროექტები, რომლებიც წარმოადგენენ სასწავლო პროცესისათვის საჭირო სადემონსტრაციო საშუალებას, თვალსაჩინოებას ან დამხმარე ინსტრუმენტს.
9. საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე.
10. ილუსტრაციის სახით თანდართული ნახაზ(ებ)ი შესაძლებელია შესრულებული იყოს ნებისმიერი ფორმატის ფურცელზე. ნახაზისთვის შეიძლება გრაფიტის ფანქრების, ფერადი ფანქრების, ფლომასტერების, აკვარელების გამოყენება. შესრულების სტილი არ არის შეზღუდული. საკონკურსო განაცხადს შესაძლებელია ერთვოდეს საილუსტრაციო მაკეტი/მოდელი/ნახაზი. დასაშვებია საილუსტრაციო ნახაზის ან მოდელი/მაკეტის წარმოდგენა სპეციალური კომპიუტერული ტექნოლოგიების/პროგრამების გამოყენებით.

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად:

   ა) **კონკურსის პირველ ეტაპზე,** საგანაცხადო ფორმა და კვლევის გეგმა/პირველადი იდეა(ატვირთული PDF ფაილის სახით) (დასკანირებული ხელმოწერებით) კონკურსის მონაწილემ უნდა გამოაგზავნოს შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: leo@rustaveli.org.ge. საკონკურსო კომისია წარდგენილ საგანაცხადო ფორმას და კვლევის გეგმას/პირველად იდეას განიხილავს პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და განსაზღვრავს კონკურსის მეორე ეტაპზე გადასულ პროექტებს.

   ბ) **კონკურსის მეორე ეტაპზე,** განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ პროექტის აღწერილობისა და საილუსტრაციო მაკეტის/მოდელის ან/და ნახაზის შემცველი ელექტრონული ფაილები (ფოტოები).(დასაშვებია ნახაზების დასკანერებული ვარიანტის ატვირთვა); ხელმძღვანელის და შესაბამისი დარგის მეცნიერის ან ზედამხედველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები (ატვირთული PDF ფაილის სახით) კონკურსის მონაწილემ უნდა გამოაგზავნოს ელ. ფოსტის მისამართზე: leo@rustaveli.org.ge.

   გ) სარეგისტრაციო შიფრი მიენიჭება საგრანტო კონკურსის ელ. ფოსტაზე კონკურსის მეორე ეტაპზე გაგზავნილ თითოეულ პროექტს და გაეგზავნება პროექტის წარმდგენს.

   დ) პროექტის წარმდგენი ამობეჭდავს განაცხადს კონკურსში მონაწილეობის შესახებ მიუთითებს **პროექტის შიფრს:** leo/.../.../17 რომელიც მიენიჭება პროექტის წარდგენის შემდეგ, ამობეჭდავს და დაადასტურებს ხელმოწერებით.

   ე) ამობეჭდილი, შევსებული, ხელმოწერებით დადასტურებული ,,განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ", **საილუსტრაციო ნახაზთან /მოდელთან/მაკეტთან ერთად** წარდგენილი უნდა იქნას ფონდის კანცელარიაში, ხოლო რეგიონებში მცხოვრებმა მონაწილეებმა განაცხადი და საილუსტრაციო ნახაზი/მოდელთან/მაკეტთან ერთად უნდა

წარადგინონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების (შესაბამისი რაიონის) საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში.

2. პროექტის აღწერილობის ტექსტი (კონკურსის მეორე ეტაპზე წარსადგენი) აკრეფილი უნდა იყოს MS Word-ის ტექსტური რედაქტორის გამოყენებით, ქართული უნიკოდის მეშვეობით (Sylfaen), ზომა 11, ინტერვალი 1.5. პროექტის აღწერილობის მოცულობა არ უნდა აჭარბებდეს 250 სიტყვას და უნდა მოიცავდეს შემდეგს:

ა) გამოგონების/კვლევის სიახლისა და ორიგინალობის აღწერა;
ბ) გამოგონების/კვლევის აქტუალობა და მისი პრაქტიკული გამოყენებადობა/რეალიზებადობა;
გ) დასკვნა.

3. კონკურსის მეორე ეტაპზე საკონკურსო კომისია შეაფასებს უკვე დასრულებულ საუკეთესო ნამუშევრებს და შეარჩევს კონკურსში გამარჯვებულებს კონკურსის მეორე ეტაპის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
4. საკონკურსო გამოფენაზე კონკურსში შერჩეული კონკურსანტები საკონკურსო კომისიის წინაშე წარდგებიან ხანმოკლე პრეზენტაციით თავიანთი გამოგონების შესახებ. საკონკურსო კომისია გამოფენაზე გამოავლენს გამარჯვებულებსა და სპეციალური პრიზების მფლობელებს, კერძოდ, გამოვლინდება ერთი გრანპრი, პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელი პროექტი. გრანპრით დაჯილდოებული პროექტის ავტორი გაემგზავრება საზღვარგარეთ შემეცნებითი ტურით. პირველ ადგილზე გასული პროექტის ავტორი დაჯილდოვდება 5000 ლარის ოდენობით, მეორე ადგილზე გასული პროექტის ავტორი - 3000 ლარის ოდენობით, ხოლო მესამე ადგილზე გასული პროექტის ავტორი - 2000 ლარის ოდენობით. ჯგუფურად წარმოდგენილი პროექტების დაჯილდოების შემთხვევაში შესაბამისი თანხა თანაბრად იყოფა ჯგუფის წევრებს შორის.
5. საკონკურსო კომისიას აკომპლექტებს ფონდის გენერალური დირექტორი დარგის/ქვემიმართულებების დამოუკიდებელი ექსპერტებისგან. საჭიროების შემთხვევაში კომისიას უფლებამოსილია მოიწვიოს დამატებით შესაბამისი დარგის ექსპერტი.
6. **კონკურსი განხორციელდება შემდეგი განრიგით:**

ა) კონკურსის **პირველ ეტაპზე** საკონკურსო ნამუშევრების კვლევის გეგმის/პირველადი იდეის და შევსებული საგანაცხადო ფორმის წარდგენა შესაძლებელი იქნება ფონდის შემდეგ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე: leo@rustaveli.org.ge **2017 წლის 7 თებერვლიდან 2017 წლის - 10 აპრილის 16:00 სთ-მდე.** საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის განაცხადები, რომლებიც გამოგზავნილი იქნება მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე და ამავდროულად კონკურსის პირველი ეტაპის საგანაცხადო ფორმა ამობეჭდილი და ხელმოწერილი წარმოდგენილი იქნება ფონდში **18 აპრილის 16:00 სთ-მდე.**

ბ) საკონკურსო კომისია გამოავლენს მეორე ეტაპზე გადასულ კონკურსანტებს არაუგვიანეს **2017 წლის 12 მაისისა.**

გ) კონკურსის **მეორე ეტაპზე,** საკონკურსო განაცხადის - „განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ", პროექტის აღწერილობის, ხელმძღვანელის და შესაბამისი დარგის მეცნიერის ან ზედამხედველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიების და საილუსტრაციო მაკეტის/მოდელის/ნახაზის შემცველი ელექტრონული ფაილების წარდგენა შესაძლებელი იქნება ფონდის შემდეგ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე: leo@rustaveli.org.ge **2017 წლის 12 მაისიდან - 2017 წლის 4 ოქტომბრის 16:00 სთ-მდე.** საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის განაცხადები, რომლებიც გამოგზავნილი იქნება მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე და ამავდროულად კონკურსის მეორე ეტაპის

საკონკურსო განაცხადი ამობეჭდილი, ხელმოწერილი და საილუსტრაციო მაკეტი/მოდელი/ნახაზი წარმოდგენილი იქნება ფონდის კანცელარიაში, ხოლო რეგიონებში მცხოვრები მონაწილეების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების (შესაბამისი რაიონის) საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში **2017 წლის 10 ოქტომბრის 16:00 სთ-მდე.**

ვადის დარღვევის ან/და არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში პროექტი მოიხსნება კონკურსიდან.

დ) მეორე ეტაპზე საკონკურსო კომისია შეარჩევს კონკურსის ფინალისტებს არაუგვიანეს **2017 წლის 20 ოქტომბრისა.**

ე) საკონკურსო კომისია საკონკურსო გამოფენაზე გამოავლენს გამარჯვებულებს არაუგვიანეს **-2017 წლის 15 ნოემბრისა.**

9. საკონკურსოდ არ განიხილება პროექტი, რომელიც არ შეესაბამება ამ წესის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ პირობებს.

მუხლი 5. ინტერესთა კონფლიქტი

1. დაუშვებელია საკონკურსო კომისიის წევრი იყოს პირი, რომელიც არის ამავე კონკურსის მონაწილის მშობელი, ნათესავი ან მეცნიერი, რომელიც ხელმძღვანელობს მოცემულ პროექტს.
2. ნათესავად ჩაითვლება:
   ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
   ბ) მეუღლე, და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
   გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
   დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
3. დამატებითი წევრების მოწვევა რეკომენდებულია ინტერესის შესაძლო კონფლიქტის თავიდან ასარიდებლად დ საკონკურსო კომისიის ექსპერტიზის გასაუმჯობესებლად.

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირების ხარჯები

1. კონკურსთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვას უზრუნველყოფს ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.
2. ფონდის მიერ შესაძლებელია დაიფაროს შემდეგი ხარჯები:
   ა) კონკურსის სარეკლამო-საიმიჯო ბანერების დამზადება და განთავსება საინფორმაციო პორტალებზე, ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში;
   ბ) სარეკლამო ვიდეო და აუდიო რგოლის საინფორმაციო პორტალებზე, ტელე და რადიო ეთერში განთავსება;
   გ) გრანპრით დაჯილდოებული პროექტის ავტორის შემეცნებითი ტურის დაფინანსების ხარჯი და საერთაშორისო კონკურსებში მონაწილეობისათვის შერჩეული კონკურსანტების საზღვარგარეთ მგზავრობის ხარჯი (ფონდის მიერ შესაძლოა დაფინანსდეს ვიზის, მგზავრობის, უცხოეთში ყოფნისას საცხოვრებელი და სადღეღამისო ხარჯები);
   დ) კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული მოსწავლეთათვის გადასაცემი სასაჩუქრე ვაუჩერის ხარჯი;
   ე) მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენის მონაწილეთათვის ფასიანი საჩუქრების ხარჯი;
   ვ) საიმიჯო პროდუქციის ხარჯი;
   ზ) მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენისა და დაჯილდოებისთვის დარბაზის დაქირავებისა და საჭირო ინვენტარით აღჭურვის ხარჯი;
   თ) სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები.

მუხლი 7. კონკურსის პირველი ეტაპის შეფასების კრიტერიუმები

1. საკონკურსო კომისია პირველ ეტაპზე საკონკურსო განაცხადების შეფასებისას იხელმძღვანელებს შემდეგი კრიტერიუმებით:

	კრიტერიუმები	შეფასების დიაპაზონი	ქულები	კომენტარი
1	გამოგონების/კვლევის სიახლე/ორიგინალურობა	1-20		
2	გამოგონების/კვლევის პრაქტიკული გამოყენებადობა/რეალიზებადობა;	1-15		
3	მეთოდოლოგია	1-15		

შენიშვნა:

- მაქსიმალური შეფასებაა 50 ქულა
- კონკურსის მეორე საფეხურზე დაიშვებიან ის კონკურსანტები, რომლებიც შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მიიღებენ არანაკლებ 30 ქულას.

მუხლი 8. კონკურსის მე-2 ეტაპის შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“
მეორე ეტაპის შეფასების კრიტერიუმებია

#	**კრიტერიუმები კვლევებისათვის**	**ქულების დიაპაზონი**	**შეფასება**	**კომენტარი**
1	**საკვლევი საკითხი** - მიზანი ნათელად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული; - განსაზღვრულია, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია საკვლევ სფეროში; - სამეცნიერო მეთოდების ტესტირება შესაძლებელია.	1-10		
2	**დიზაინი და მეთოდოლოგია** - გეგმა და მონაცემთა შეგროვების მეთოდი კარგად არის წარმოჩენილი; - ცვლადები კარგად არიან განსაზღვრული და კვლევის შესატყვისნი არიან.	1-15		
3	**შესრულება: მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და ინტერპრეტაცია** - მონაცემთა ანალიზი და შეგროვება სისტემატურია;	1-20		

	- შედეგები აღწარმოებადია; - მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები შესატყვისია; - მონაცემები საკმარისადაა შეგროვილი ინტერპრეტაციისათვის და დასკვნების გასამყარებლად.			
4	**კრეატიულობა** - პროექტი კრეატიულია ზემოთჩამოთვლილი ერთი, ან მეტი კრიტერიუმის მიმართებით.	1-20		
	პრეზენტაცია <u>ა) პოსტერი (10 ქულა)</u> - მასალები ლოგიკურადაა ორგანიზებული; - ნახაზები და ტექსტები ნათელია; - დამხმარე დოკუმენტაცია წარმოდგენილია; <u>ბ) ინტერვიუ (25 ქულა)</u> - მკაფიო, გააზრებული, სხარტი პასუხები კითხვებზე; - პროექტის შესატყვისი სამეცნიერო დარგის ცოდნა; - შედეგების ინტერპრეტაციის და დასკვნების გამოტანის უნარი; - განსახორციელებელ პროექტში დამოუკიდებლობის დონე; - მეცნიერებაზე, საზოგადოებასა და ეკონომიკაზე პოტენციური გავლენის გაცნობიერება; - შემდგომი კვლევისთვის იდეების მოაზრება; - გუნდური პროექტების წარდგენისას გუნდის ყველა წევრის მიერ პროექტში თავ-თავიანთი წვლილის წარმოჩენა და პროექტის არსის ზემიწევნად კარგად ცოდნა.	2-35 10 25		

#	**კრიტერიუმები საინჟინრო მიმართულებისათვის**	**ქულების დიაპაზონი**	**შეფასება**	**კომენტარი**
1	**საკვლევი პრობლემა** - პრაქტიკული მოთხოვნილების, ან პრობლემის გადაწყვეტის გზების აღწერა; - შემოთავაზებული გადაწყვეტილების კრიტერიუმის განსაზღვრა; - შეზღუდვების განმარტება.	1-10		
2	**დიზაინი და მეთოდოლოგია** - მოთხოვნილების, ან პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიება; - პრობლემის გადაჭრის გადაწყვეტილების განსაზღვრა; - პროტოტიპის/მოდელის შემუშვება.	1-15		

3	**შესრულება: კონსტრუირება და გამოცდა** - მოდელი წარმოაჩენს დაგეგმილ ჩანაფიქრს; - მოდელი გამოცდილია სხვადასხვა პირობებში; - მოდელი დასრულებულია და წარმოადგენს საინჟინრო ნაკეთობას.	1-20		
4	**კრეატიულობა** - პროექტი კრეატიულია ზემოთჩამოთვლილი ერთი, ან მეტი კრიტერიუმის მიმართებით.	1-20		
5	**პრეზენტაცია** <u>ა) პოსტერი (10 ქულა)</u> - მასალები ლოგიკურადაა ორგანიზებული; - ნახაზები და ტექსტები ნათელია; - დამხმარე დოკუმენტაცია წარმოდგენილია; <u>ბ) ინტერვიუ (25 ქულა)</u> - მკაფიო, გააზრებული, სხარტი პასუხები კითხვებზე; - პროექტის შესატყვისი სამეცნიერო დარგის ცოდნა; - შედეგების ინტერპრეტაციის და დასკვნების გამოტანის უნარი; - განსახორციელებელ პროექტში დამოუკიდებლობის დონე; - მეცნიერებაზე, საზოგადოებასა და ეკონომიკაზე პოტენციური გავლენის გაცნობიერება; - შემდგომი კვლევისთვის იდეების მოაზრება; - გუნდური პროექტების წარდგენისას გუნდის ყველა წევრის მიერ პროექტში თავ-თავიანთი წვლილის წარმოჩენა და პროექტის არსის ზემიწევნად კარგად ცოდნა.	2-35 10 25		

კონკურსის ფინალზე გადასასვლელად აუცილებელი პირობაა პროექტმა მიიღოს 40 ან მეტი ქულა.

დანართი N2

დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის

ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური

დირექტორის 2017 წლის 7 თებერვლის N04 ბრძანებით

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს

მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ კონკურსის პირველ ეტაპზე წარსადგენი საგანაცხადო ფორმა

1. ა. მოსწავლე/გუნდის ლიდერი _____ კლასი: _____

ელ. ფოსტა: _____ ტელეფონი: _____

ბ. გუნდის წევრი: _____ გ. გუნდის წევრი: _____

2. **კვლევის მიმართულება/ქვემიმართულება პროექტის სახელწოდება:**

_____

_____

3. სკოლა: _____ ტელეფონი: _____

სკოლის მისამართი: _____

4. ხელმძღვანელი _____ ტელ./ელ. ფოსტა: _____

5. შესაბამისი დარგის მეცნიერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) _____

ტელ./ელ. ფოსტა: _____

6. წარმოადგენს თუ არა პროექტი წინა წლის კვლევის გაგრძელებას/განვითარებას:

☐ დიახ ☐ არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში:

ა) თან დაურთეთ წინა წლის ☐ კვლევის აბსტრაქტი ☐ კვლევის გეგმა

ბ) ახსენით, თუ რა სიახლეებია თქვენს პროექტში და რითი განსხვავდება წინა წლების პროექტისაგან:

☐ გაგრძელების / კვლევის განვითარების ფორმა

7. მიმდინარე წლის ლაბორატორიული ექსპერიმენტები / მონაცემების შეგროვება: (აუცილებლად უნდა წარმოადგინოთ (თვე/დღე/წელი)

_____ _____

დაწყების თარიღი (თვე/დღე/წელი) დასრულების თარიღი (თვე/დღე/წელი)

8. სად ჩაატარებთ თქვენს ექსპერიმენტებს (შეგიძლიათ აღნიშნოთ რამდენიმე მათგანი, რომლებიც შეესაბამება თქვენს გეგმას)
   ☐ უნივერსიტეტში ☐ კვლევით ინსტიტუტში ☐ სკოლაში ☐ საველე პირობებში ☐ სახლში
   ☐ სხვა: _____

9. ჩამოთვალეთ იმ ადგილების სახელწოდებები და მისამართები, სადაც აწარმოებთ კვლევას (სკოლის გარდა):

სახელწოდება: _____

მისამართი: _____

ტელ.: _____

ხელმოწერა ----------

დანართი N3
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2017 წლის 7 თებერვლის N07 ბრძანებით

კონკურსის მე-2 ეტაპზე მონაწილეობის შესახებ განაცხადი ფორმა

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს

გთხოვთ, მოსწავლე-გამომგონებელთა და მკვლევართა 2017 წლის კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“ განიხილოთ ჩემ/ჩვენ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადი.

1.	პროექტის დასახელება სამეცნიერო მიმართულება	
2.	ავტორ(ებ)ის ○ სახელი და გვარი ○ პირადი ნომერი ○ სკოლა ○ კლასი	
3.	ავტორ(ებ)ის საკონტაქტო ინფორმაცია ელ.ფოსტა; ტელეფონი	
4.	ვიზუალური მასალა	○ მაკეტი ○ მოდელი ○ ნახაზი
5.	არის თუ არა პროექტი წარდგენილი სხვა კონკურსში	

წინამდებარე განაცხადით ვადასტურებ(თ), რომ გავეცანი(თ) მოსწავლე-გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“-ს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის № 98 დადგენილებას, სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებულ კონკურსის პირობებს და ჩემი/ჩვენი ხელმოწერით ვაღიარებთ მათ სავალდებულო დაცვას. ვადასტურებთ ჩემ/ჩვენ მიერ წარმოდგენილი განაცხადის ავტორობას. მოწოდებული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ამასთანავე, ვაღიარებ(თ), რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას წარმოდგენილი განაცხადი კონკურსიდან.

პროექტის შიფრი __LEO/_____/_____/17

პროექტის ავტორ(ებ)ი:
(ხელმოწერები) _____

_____

_____

პროექტის ხელმძღვანელი _____

შესაბამისი დარგის მეცნიერი _____

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

თარიღი: ___/___/2017

დანართი N4
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2017 წლის 7 თებერვლის N07 ბრძანებით

მოსწავლე გამომგონებელთა კონკურსის ,,ლეონარდო და ვინჩის" პირველ ეტაპზე წარსადგენი საკონკურსო ნამუშევრების კვლევის გეგმა/პირველადი იდეა,

(მაქსიმუმ 150 სიტყვა)

- **პროექტის დასაბუთება**

  დაასაბუთეთ თქვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის მნიშვნელობა მეცნიერული თვალსაზრისით და თუკი ეს შესაძლებელია, ახსენით, რა სოციალურ გავლენას მოახდენს კვლევა.

- **პროექტის იდეა**

  ჩამოაყალიბეთ თქვენი ჰიპოთეზა, კვლევის საკითხი, სამეცნიერო/საინჟინრო მიზნები.

- **კვლევის მეთოდები და მოსალოდნელი შედეგები**

  დეტალურად აღწერეთ თქვენი კვლევის მეთოდები, განსახორციელებელი პროცედურები და მოსალოდნელი შედეგები. აღწერეთ მხოლოდ თქვენი პროექტი, აღწერილობა არ უნდა შეიცავდეს ხელმძღვანელის, ან სხვა პირის მიერ გაწეულ სამუშაოს.

  აღწერეთ მხოლოდ თქვენი პროექტი, აღწერილობა არ უნდა შეიცავდეს ხელმძღვანელის, ან სხვა პირის მიერ გაწეულ სამუშაოს.

- **რისკები და უსაფრთხოება:**

  მიუთითეთ ნებისმიერ პოტენციურ რისკსა და საჭირო უსაფრთხოების ზომებზე.

- **მონაცემთა ანალიზი:**

  აღწერეთ პროცედურები, რომლებიც უნდა გამოიყენოთ მონაცემების/შედეგების გაანალიზებისათვის.

დანართი N5
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის 2017 წლის 7 თებერვლის N05 ბრძანებით

2017 წლის კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“

პროექტის აღწერილობა

(კონკურსის მეორე ეტაპზე წარსადგენი)

(მაქსიმუმ 250 სიტყვა)

პროექტის აღწერილობა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. **გამოგონების/ კვლევის სიახლისა და ორიგინალურობის აღწერა**

გამოგონებას უნდა ჰქონდეს პრაქტიკული გამოყენებადობა, ამასთან მას უნდა ჰქონდეს სიახლე, ანუ რაიმე ახალი ელემენტი, კონკრეტული დანიშნულებით, რომელიც არ არის ცნობილი იმ დარგში.

იმ შემთხვევაში, თუ შემოთავაზებული გამოგონება/კვლევა წარმოადგენს წინა /წლებში შემოთავაზებული გამოგონების გაგრძელებას, მაშინ აღწერეთ რა არის ამჟამად წარმოდგენილი გამოგონების სიახლე და რით განსხვავდება წინა წლებში შემოთავაზებული გამოგონებისგან.

იმ შემთხვევაში თუ პროექტში ჩართულია ორი ან სამი ავტორი, დეტალურად აღწერეთ თითოეულის ფუნქცია და როლი გამოგონებაში.

დეტალურად აღწერეთ ყველა პროცედურა და ექსპერიმენტული დიზაინი, რომლებიც გამოყენებულ იქნება მონაცემების მოსაგროვებლად.

2. **გამოგონების/კვლევის აქტუალობა და მისი პრაქტიკული გამოყენებადობა/რეალიზებადობა**

აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია, კვლევითი პროექტის (შესაძლო) რისკები.
დაასაბუთეთ გამოგონების/კვლევის მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული გამოყენებადობა.

3. **დასკვნა**

აღწერეთ (თუ ეს შესაძლებელია) რა სამეცნიერო/სოციალური სარგებლის მოტანა შეუძლია თქვენს მიერ შემოთავაზებულ სამეცნირო გამოგონებას.

ბიბლიოგრაფია: წარმოადგინეთ მინიმუმ 2 (ორი) წყარო (მაგ.: სამეცნიერო ჟურნალების სტატიები, წიგნები, ინტერნეტის ვებ-გვერდები) თქვენი ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილიდან.